

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N 50/20 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2021 წლის 05 მარტის N 08/21 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 13 თებერვლის N 06/23 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 8 მაისის N 14/23 ოქმით

შინაარსი

თავი I. სტუდენტის სტატუსის მოპოვება და მართვა

მუხლი 1. სტუდენტის ჩარიცხვის წინაპირობები

მუხლი 2. სტუდენტს და უნივერსიტეტს შორის ხელშეკრულების გაფორმება და სწავლის საფასურის გადახდის პირობები

მუხლი 3. სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ურთიერთობის ოფიციალური მედია “ჩემი UG”

მუხლი 4. სტუდენტის საიდენტიფიკაციო ბარათი

მუხლი 5. სტუდენტის პერსონალური მონაცემები

თავი II. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

მუხლი 1. ადმინისტრაციული რეგისტრაცია

მუხლი 2. აკადემიური რეგისტრაცია

თავი III. მობილობა

მუხლი 1. სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა (შიდა მობილობა)

მუხლი 2. გადაყვანის წესით ჩარიცხვა (გარე მობილობა)

თავი IV. სტუდენტის სტატუსის შეჩერება, აღდგენა და შეწყვეტა

მუხლი 1. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

მუხლი 2. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

მუხლი 3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

თავი V. სასწავლო პროცესი

მუხლი 1. სასწავლო პროცესის მიმდინარეობა

თავი VI. შეფასების ფორმების ადმინისტრირება

მუხლი 1. შუალედური შეფასების და დასკვნითი/დამატებითი გამოცდის ადმინისტრირება

მუხლი 2. გამოცდაზე დაშვების პირობები

მუხლი 3. გამოცდაზე ქცევის წესები

მუხლი 4. შუალედური შეფასების და დასკვნითი/დამატებითი გამოცდის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევები

მუხლი 4¹. შუალედური შეფასების აღდგენა

მუხლი 4². დამატებით გამოცდაზე დაშვების წინაპირობები

მუხლი 5. ამოღებულია

მუხლი 6. გამოცდის მიმდინარეობის გასაჩივრება

მუხლი 7. გამოცდის შედეგების ასახვა

მუხლი 8. შეფასების გასაჩივრება

მუხლი 9. საუნივერსიტეტო შეფასება

მუხლი 10. შედეგების საშუალო

მუხლი 11. შედეგების საშუალოს კოეფიციენტი (GPA) (წლიური, სემესტრული)

მუხლი 12. შეფასების თავსებადობა

თავი VII. საბაკალავრო ნაშრომი სდაცვა და შეფასება

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N 50/20 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2021 წლის 05 მარტის N 08/21 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 13 თებერვლის N 06/23 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 8 მაისის N 14/23 ოქმით

მუხლი 1. საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი

მუხლი 2. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შესრულების ეტაპები

მუხლი 3. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის კომპონენტზე რეგისტრაცია

მუხლი 4. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს შემადგენლობა

მუხლი 5. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს საქმიანობა

მუხლი 6. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი

მუხლი 7. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის კონცეფცია

მუხლი 8. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის წინასწარი განაცხადი

მუხლი 9. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვა

მუხლი 10. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შეფასება

მუხლი 11. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შეფასების გასაჩივრება

მუხლი 12. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შენახვა და გამოყენება

მუხლი 13. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N 50/20 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2021 წლის 05 მარტის N 08/21 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 13 თებერვლის N 06/23 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 8 მაისის N 14/23 ოქმით

თავი I. სტუდენტის სტატუსის მოპოვება და მართვა

მუხლი 1. სტუდენტის ჩარიცხვის წინაპირობები

- 1.1. აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (საბაკალავრო პროგრამაზე) სტუდენტის ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან უცხო ქვეყნის მოქალაქის ან საქართველოს მოქალაქისთვის კანონმდებლობით დადგენილ გამონაკლის შემთხვევაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის და ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვის წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციისა და უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე.
- 1.2. სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად პირი ვალდებულია შეავსოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე მითითებული ელექტრონული განაცხადი, წარმოადგინოს ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები და გააფორმოს უნივერსიტეტთან ხელშეკრულება. წარმოსადგენი დოკუმენტაციაა:
 - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
 - სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის (ატესტატი) ნოტარიულად დამოწმებული ასლი
 - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟების შემთხვევაში)
 - ფოტოსურათი (3X4)
 - სასწავლო პროცესის ადმინისტრირების და ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში პრორექტორის განკარგულებით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები
- 1.3. სავალდებულოა სარეგისტრაციო დოკუმენტების ელექტრონულ მატარებელზე წარმოდგენა.
- 1.4. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტი/საერთაშორისო სტუდენტი სტატუსის მოსაპოვებლად უნდა აკმაყოფილებდეს პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებს და ვალდებულია გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვის წესის შესაბამისად.
- 1.5. სარეგისტრაციო დოკუმენტები ინახება ელექტრონული ასლის სახით სტუდენტის პირად საქმეში.

მუხლი 2. სტუდენტს და უნივერსიტეტს შორის ხელშეკრულების გაფორმება და სწავლის საფასურის გადახდის პირობები

- 2.1. სარეგისტრაციო დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე, სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ფორმდება ხელშეკრულება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის ვადით.
- 2.2. პირი ვალდებულია უნივერსიტეტთან ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი საბანკო დღის ვადაში გადაიხადოს სწავლების საფასურის ის ოდენობა, რომელიც აღემატება მოპოვებულ სახელმწიფო სასწავლო გრანტს (რექტორის საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლოა დადგინდეს სწავლის საფასურის გადახდის განსხვავებული წესი).

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N 50/20 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2021 წლის 05 მარტის N 08/21 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 13 თებერვლის N 06/23 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 8 მაისის N 14/23 ოქმით

2.3. ხელშეკრულება ძალაშია ამ მუხლის 2.1.პუნქტით დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში სწავლის საფასურის გადახდის მომენტიდან.

2.4. ამ მუხლის 2.2. პუნქტით დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში აბიტურიენტს უბრუნდება წარმოდგენილი დოკუმენტაცია და იგი არ ჩაირიცხება საბაკალავრო პროგრამაზე.

2.5. ხელშეკრულების ვადის განმავლობაში სწავლის საფასურის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ გარემოებათა არსებითი ცვლილებების დროს, რექტორის საბჭოს გადაწყვეტილების შემთხვევაში. გარემოებათა არსებით ცვლილებას წარმოადგენს:

(ა) ეროვნული ვალუტის მკვეთრი დევალვაცია (ხელშეკრულების გაფორმების დღისთვის აშშ-ის დოლართან ან ევროსთან არსებული გაცვლის კურსთან შედარებით არანაკლებ 40%-ით გაუფასურება)

(ბ) 30%-იანი წლიური ინფლაციის მაჩვენებელი

(გ) სამეწარმეო ან საგადასახადო კანონმდებლობის ძირეული ცვლილება, რაც უნივერსიტეტის შემოსავლებზე, ხარჯებსა და მოგებაზე მნიშვნელოვნად აისახება (სხვა თანაბარ პირობებში იწვევს დაბეგვრის შემდგომი მოგების 50%-ით შემცირებას)

(დ) სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მიერ დადგენილი საშუალო ხელფასის 100%-იანი ზრდა

(ე) საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილება

(ძალაშია 2021-2022 სასწავლო წლიდან)

2.6. გადახდილი სწავლის საფასურის დაბრუნების წინაპირობაა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

2.7. სწავლის საფასური სტუდენტს უკან უბრუნდება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი სტატუსის შეწყვეტის შესახებ განცხადებით უნივერსიტეტს მიმართავს:

(ა) აკადემიური წლის დაწყებამდე - უნივერსიტეტს უნარჩუნდება წლიური სწავლის საფასურის 30 %

(ბ) აკადემიური წლის დაწყებიდან 4 კვირის განმავლობაში - უნივერსიტეტს უნარჩუნდება წლიური სწავლის საფასურის 50 %

(გ) მეორე სემესტრის დაწყებამდე - უნივერსიტეტს უნარჩუნდება წლიური სწავლის საფასურის 75%

2.7.¹ სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 ან/და 10 წლიანი ვადის გასვლის გამო, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისას, სტუდენტს უბრუნდება მის ბალანსზე არსებული სწავლის საფასური.

2.7.² უნივერსიტეტის ღირსების კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისას, სტუდენტს მის ბალანსზე არსებული სწავლის საფასური უკან არ უბრუნდება.

2.8. სწავლის საფასურის გადახდისგან ნაწილობრივ/მთლიანად გათავისუფლებას ან გადახდის გადავადება/განწილვადებასთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ შემთხვევებს განიხილავს უნივერსიტეტის სოციალურ საკითხთა კომისია, რომელსაც სტუდენტმა უნდა მიმართოს განცხადებით „ჩემი UG“ - ის მეშვეობით რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში.

მუხლი 3. სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ურთიერთობის ოფიციალური მედია “ჩემი UG”

3.1. სტუდენტს, ადმინისტრაციასა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის ოფიციალურ საკომუნიკაციო საშუალებას წარმოადგენს ელექტრონული პლათფორმა „ჩემი UG“, რომელიც იძლევა როგორც ადმინისტრაციული საკითხების (ცნობის მიღება/გაგზავნა, განცხადების, საჩივრის დაწერა და ა.შ.) მოგვარების, ისე სალექციო-საგამოცდო პროცესის ელექტრონულად, დისტანციურად წარმართვის,

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N 50/20 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2021 წლის 05 მარტის N 08/21 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 13 თებერვლის N 06/23 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 8 მაისის N 14/23 ოქმით

სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის (საგანმანათლებლო პროგრამა, სილაბუსები, შეფასებები, საგამოცდო ცხრილი, და ა.შ.) მიღების, სასწავლო პროცესის დაგეგმვა/წარმართვის (კომპონენტზე აკადემიური რეგისტრაცია, ნაშრომების ატვირთვა, ლექტორისგან სასწავლო მასალების მიღება და ა.შ.) და სტუდენტურ ცხოვრებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ინფორმაციის (კონფერენციები, ღონისძიებები, სტუდენტური კლუბები და მათი აქტივობები) მიღების საშუალებას.

3.2. სტუდენტი ვალდებულია რეგულარულად ამოწმოს ელექტრონული პლათფორმა „ჩემი UG“-ის საშუალებით მიღებული კორესპონდენცია.

3.3. სტუდენტის ინფორმირება ხდება ელექტრონული ფორმით, „ჩემიUG“-ის მეშვეობით. სტუდენტი ვალდებულია დროულად გაეცნოს ადმინისტრაციის შეტყობინებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნივერსიტეტი იხსნის პასუხისმგებლობას დამდგარ შედეგზე.

3.4. სტუდენტის ყველა განცხადება მიიღება ელექტრონული ფორმით „ჩემი UG“-ის მეშვეობით. ინფორმაცია განცხადების სტატუსის შესახებ ხელმისაწვდომია განმცხადებლისთვის.

3.5. სტუდენტი უნივერსიტეტის ნებისმიერ თანამშრომელს უკავშირდება შეტყობინების ელექტრონული სისტემის საშუალებით.

მუხლი 4. სტუდენტის საიდენტიფიკაციო ბარათი

4.1. სტუდენტს უნივერსიტეტის ელექტრონულ სამომხმარებლო არეში („ჩემი UG“) დაშვებისათვის გადაცემა მომხმარებლის კოდი და პაროლი.

4.2. დაუშვებელია სხვა სტუდენტის საიდენტიფიკაციო ბარათით ან უნიკალური ნომრით სარგებლობა.

4.3. საიდენტიფიკაციო ბარათის ფორმა მტკიცდება რექტორის ბრძანებით. საიდენტიფიკაციო ბარათის ღირებულება შედის სწავლის საფასურში.

4.4. საიდენტიფიკაციო ბარათის დაკარგვის შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია განცხადებით მიმართოს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურს.

მუხლი 5. სტუდენტის პერსონალური მონაცემები

5.1. სტუდენტი ვალდებულია საკონტაქტო მონაცემების (მისამართი, ტელეფონის ნომერი) შეცვლის შემთხვევაში ერთი კვირის ვადაში დააფიქსიროს ცვლილება „ჩემი UG“-ის მეშვეობით. სახელის/გვარის შეცვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს (შემდგომში - „სპას“). სტუდენტის მიერ მონაცემების წარმოუდგენლობის გამო დამდგარ შედეგზე უნივერსიტეტი იხსნის პასუხისმგებლობას.

5.2. სტუდენტის შესახებ პერსონალური მონაცემების მესამე პირებზე გაცემა დაიშვება კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

თავი II. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

მუხლი 1. ადმინისტრაციული რეგისტრაცია

1.1. სტუდენტის ადმინისტრაციული რეგისტრაცია გულისხმობს სარეგისტრაციო ვადებში სწავლის წლიური საფასურის სრულად ან რექტორის საბჭოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად გადახდას (არ ეხება გაცვლით პროგრამაში ჩართულ სტუდენტს)

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N 50/20 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2021 წლის 05 მარტის N 08/21 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 13 თებერვლის N 06/23 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 8 მაისის N 14/23 ოქმით

- 1.2. გაცვლით პროგრამაში ჩართული სტუდენტის ადმინისტრაციული რეგისტრაცია ხდება ავტომატურად, საერთაშორისო სტუდენტების ინტეგრაციისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ სპას-თვის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე
- 1.3. პირველკურსელთათვის და მობილობით ჩარიცხული სტუდენტებისთვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადები განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.
- 1.4. გაცვლითი სტუდენტის სტატუსი ენიჭება საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტს, რომელიც გაცვლითი პროგრამის ფარგლებში აგროვებს კრედიტების განსაზღვრულ რაოდენობას პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
- 1.5. სტუდენტი მომდევნო სასწავლო წელზე რეგისტრირდება არა უგვიანეს 15 ივნისისა. აკადემიურ წელზე/სემესტრზე რეგისტრაციის განსხვავებული ვადები შეიძლება დადგინდეს რექტორის საბჭოს მიერ.
- 1.6. საერთაშორისო სტუდენტი მომდევნო სასწავლო წელზე რეგისტრაციის მიზნით სწავლის წლიურ საფასურს იხდის თავი II, მუხლი 2, პუნქტი 2.3.-ით განსაზღვრული ეტაპების შესაბამისად. კერძოდ: 50% -ს იხდის პირველადი რეგისტრაციის დაწყებამდე, ხოლო საფასურის დარჩენილ ნაწილს - საბოლოო რეგისტრაციის დაწყებამდე. საფასურის აღნიშნული ნაწილის გადაუხდელობის შემთხვევაში, საერთაშორისო სტუდენტი ვერ გაივლის პირველად რეგისტრაციას და შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი. უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, ის ვალდებულია გადაიხადოს მომდევნო სასწავლო წლის საფასური სრულად და რეგისტრაცია განახორციელოს იმ საგნებზე, რომლებიც უკვე შემოთავაზებულია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მიერ.
- 1.7. პირველადი რეგისტრაციის დაწყებამდე სწავლის საფასურის წინამდებარე მუხლის 1.6. პუნქტით დადგენილი წესით გადაუხდელობა სტუდენტს არ ართმევს უფლებას დაესწროს მიმდინარე სემესტრის ფინალურ გამოცდებს.
- 1.8. ერასმუს მუნდუსის პროგრამაში ჩართული გაცვლითი სტატუსის მქონე სტუდენტი გაცვლითი პროგრამის ხანგრძლივობით საქართველოს უნივერსიტეტში არ იხდის სწავლის საფასურს, ხოლო ინდივიდუალური მემორანდუმის საფუძველზე არსებული გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სტუდენტი იხდის საქართველოს უნივერსიტეტის მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობის შესაბამის თანხას თუ მემორანდუმის მიხედვით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- 1.9. თუ აკადემიური წლის დასაწყისისთვის სტუდენტის მიერ სწავლის დასამთავრებლად დარჩენილი კრედიტების საერთო რაოდენობა არ აღემატება 60 კრედიტს, სწავლის საფასური ანგარიშდება კრედიტების მიხედვით, სადაც 1 კრედიტის საფასური ანგარიშდება წლიური სწავლის საფასურის 60-ზე გაყოფით.

მუხლი 2. აკადემიური რეგისტრაცია

- 2.1. სტუდენტისათვის აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს მომდევნო სემესტრისთვის სასწავლო კომპონენტების არჩევას და სტუდენტის მიერ ინდივიდუალური სასწავლო ცხრილის ფორმირებას

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N 50/20 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2021 წლის 05 მარტის N 08/21 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 13 თებერვლის N 06/23 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 8 მაისის N 14/23 ოქმით

2.2. საბაკალავრო სწავლების პირველ სემესტრში სტუდენტის აკადემიური რეგისტრაცია ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ. ყოველ მომდევნო სემესტრში სტუდენტი აკადემიურ რეგისტრაციას ახდენს „ჩემი UG“-ის მეშვეობით სასწავლო პროცესის ადმინისტრირების და ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში პრორექტორის განკარგულებით განსაზღვრულ ვადებში.

2.3. აკადემიური რეგისტრაცია მიმდინარეობს ორ ეტაპად (თითოეული ეტაპის ვადები განისაზღვრება სასწავლო პროცესის ადმინისტრირების და ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში პრორექტორის განკარგულებით). აკადემიური რეგისტრაციის ეტაპებია:

- პირველადი რეგისტრაცია
- საბოლოო რეგისტრაცია

2.4. პირველადი რეგისტრაცია გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამის და თავისუფალი კრედიტების (თუ განსაზღვრულია შესაბამისი პროგრამით) იმ კომპონენტებიდან, რომლებიც მოცემული სემესტრისათვის განისაზღვრა შესაბამისი სკოლის მიერ, სასურველი კომპონენტების არჩევას არანაკლებ 30 კრედიტის მოცულობით (მაგრამ არაუმეტეს 45 კრედიტისა), წინააღმდეგ შემთხვევაში რეგისტრირებული კრედიტები ანულირდება; გამონაკლისი დაიშვება დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებისთვის ან/და იმ შემთხვევაში, როდესაც წინაპირობები არ იძლევა მეტ კრედიტზე დარეგისტრირების საშუალებას (წელიწადში არაუმეტეს 75 კრედიტის მოცულობით).

2.5. საბოლოო რეგისტრაცია გულისხმობს:

ა) შესაბამისი სემესტრის დაწყებამდე პირველადი რეგისტრაციის დროს არჩეული კომპონენტებისათვის დღისა და საათის დაზუსტებას უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული ცხრილის შესაბამისად;

ბ) პირველადი რეგისტრაციის დროს არჩეული კომპონენტების კორექტირებას წინამდებარე მუხლის

2.6. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების შესაბამისად.

2.6. პირველადი რეგისტრაციის კორექტირება დასაშვებია საბოლოო რეგისტრაციით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპონენტზე რეგისტრაციის გაგრძელება შეუძლებელია. მიზეზი შეიძლება იყოს:

- წინაპირობების დაუკმაყოფილებლობა
- ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტის მიერ არჩეული კომპონენტის გაუქმება (მოცემულ კომპონენტზე სტუდენტების არასაკმარისი რაოდენობის რეგისტრაციის გამო, მოცემული სემესტრში ლექტორის ხელმიუწვდომლობის გამო და ა.შ.)
- არჩეული კომპონენტების დამთხვევა დროში, რაც შეუძლებელს ხდის სასწავლო ცხრილის ფორმირებას და სტუდენტი იძულებულია უარი თქვას რომელიმე კომპონენტზე

2.7. სტუდენტს უფლება აქვს სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირის განმავლობაში შეცვალოს არჩევანი, დამატებით აირჩიოს ან გააუქმოს სასწავლო კომპონენტი/კომპონენტები (თუმცა დარეგისტრირებული კომპონენტების კრედიტების ჯამური რაოდენობა არ უნდა იყოს 30 კრედიტზე ნაკლები, გარდა ამ მუხლის 2.4. პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა). დამატებით სასწავლო კომპონენტზე რეგისტრაციის წინაპირობაა შესაბამისი კრედიტების ღირებულების გადახდა.

2.8. სტუდენტი უფლებამოსილია რეგისტრაციისას აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო ან არჩევითი სასწავლო კომპონენტები, ძირითადი და დამატებითი სპეციალობები.

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N 50/20 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2021 წლის 05 მარტის N 08/21 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 13 თებერვლის N 06/23 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 8 მაისის N 14/23 ოქმით

2.9. განსაკუთრებულ შემთხვევებში, უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას შეცვალოს სტუდენტის მიერ არჩეული სასწავლო კომპონენტის დღე, დრო ან ლექტორი.

2.10. თუ სტუდენტს შეჩერებული აქვს სტატუსი და ამ დროის განმავლობაში განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირება, სტატუსის აღდგენის შემდეგ სტუდენტზე შესაძლოა გავრცელდეს პროგრამის მოდიფიცირებული მოთხოვნები პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, სკოლის საბჭოს (დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - „დსპ“) შემთხვევაში პროგრამის განვითარების საბჭოს (შემდგომში - „პგს“)) გადაწყვეტილებით.

თავი III. მობილობა

მუხლი 1. სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა (შიდა მობილობა)

1.1. შიდა მობილობა ხორციელდება ახალი სასწავლო სემესტრის დაწყებამდე. დამატებითი პირობები დგინდება რექტორის საბჭოს გადაწყვეტილებით

1.2. შიდა მობილობით სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლისას სტუდენტის სწავლის საფასური განისაზღვრება მობილობით არჩეულ პროგრამაზე მიმდინარე გადასახადით. ცალკეულ შემთხვევებში განსხვავებული პირობა შესაძლოა დადგინდეს რექტორის საბჭოს გადაწყვეტილებით.

1.3. კრედიტების აღიარების კომისია ადგენს სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგებისა და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული სასწავლო კომპონენტების თავსებადობას მობილობით გადასულ პროგრამაზე. კრედიტების აღიარების კომისიის მიერ კრედიტების თავსებადობის დადგენამდე სტუდენტი ვერ დარეგისტრირდება საგნებზე.

მუხლი 2. გადაყვანის წესით ჩარიცხვა (გარე მობილობა)

2.1. მობილობით ჩარიცხვის კანდიდატი ვალდებულია უნივერსიტეტს დამატებით წარუდგინოს:

- სტუდენტის სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი)
- ამონაწერი სტუდენტის ჩარიცხვის ბრძანებიდან
- სილაბუსის მოკლე აღწერა
- დამატებით საბუთები რაც შესაძლოა დადგინდეს სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში პრორექტორის განკარგულებით
- ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ ან ამონაწერი სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის ბრძანებიდან.

2.2. კრედიტების აღიარების კომისია ადგენს სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ. ამ მიზნით კომისია უფლებამოსილია მოსთხოვოს სტუდენტს ჩაბარებული სასწავლო კომპონენტების აღწერის, სილაბუსების ან ნებისმიერი იმ დოკუმენტის წარმოდგენა რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება კომპეტენციის დადგენა ან/და გამოცდის ჩაბარება.

2.3. გამოცდის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროგრამის ხელმძღვანელი (აკადემიური დეკანი) და ის აკეთებს ასევე მის მენეჯმენტს

2.4. კრედიტების აღიარების კომისიის მიერ კრედიტების აღიარებამდე სტუდენტი ვერ დარეგისტრირდება საგნებზე

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N 50/20 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2021 წლის 05 მარტის N 08/21 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 13 თებერვლის N 06/23 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 8 მაისის N 14/23 ოქმით
თავი IV. სტუდენტის სტატუსის შეჩერება, აღდგენა და შეწყვეტა

მუხლი 1. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

- 1.1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
 - (ა) პირადი განცხადება
 - (ბ) ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა
 - (გ) აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა
 - (დ) დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილება
 - (ე) დებულებით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოუდგენლობა ან/და პირადი საქმიდან დოკუმენტის გამოთხოვის შემთხვევაში, მისი დადგენილ ვადებში წარმოუდგენლობა.
- 1.2. სტუდენტის სტატუსის შეჩერებისას, სტუდენტს გადახდილი სწავლის საფასური ენახება შემდეგი პრინციპით, შემდეგ შემთხვევებში:
 - (ა) სრულად, თუ სტატუსის შეჩერება განხორციელდა სასწავლო წლის დაწყებიდან პირველი ოთხი კვირის განმავლობაში
 - (ბ) წლიური სწავლის საფასურის ნახევარი, თუ სტატუსის შეჩერება განხორციელდა სასწავლო წლის დაწყებიდან ოთხი კვირის შემდეგ
 - (გ) წლიური სწავლის საფასურის მეოთხედი, თუ სტატუსის შეჩერება განხორციელდა მეორე სემესტრის დაწყებიდან პირველი ოთხი კვირის განმავლობაში
- 1.3. შენახული სწავლის საფასურის გამოყენება სტუდენტს შეუძლია საქართველოს უნივერსიტეტში სტატუსის აღდგენის შემთხვევაში.
- 1.4. შენახული სწავლის საფასური სტუდენტს უკან უბრუნდება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი სტატუსის შეწყვეტის შესახებ უნივერსიტეტს მიმართავს განცხადებით, ამავედროულად: ა) უნივერსიტეტს უნარჩუნდება სწავლის წლიური საფასურის 30 %, თუ სტატუსის შეჩერება განხორციელდა აკადემიური წლის დაწყებამდე, ბ) უნივერსიტეტს უნარჩუნდება სწავლის წლიური საფასურის 50 %, თუ სტატუსის შეჩერება განხორციელდა სწავლის დაწყებიდან ოთხი კვირის განმავლობაში, გ) უნივერსიტეტს უნარჩუნდება სწავლის წლიური საფასურის 75 %, თუ სტატუსის შეჩერება განხორციელდა მეორე სემესტრის დაწყებამდე.
- 1.5. მობილობის წესით ჩარიცხულ ან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხულ სტუდენტებზე ამ მუხლით გათვალისწინებული ვადის ათვლა იწყება ჩარიცხვის ბრძანების თარიღიდან.
- 1.6. სემესტრის მიმდინარეობისას სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტუდენტს უუქმდება შუალედური შეფასებები. იმავე სემესტრში სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სტუდენტს აღუდგება შუალედური შეფასებებიც.
- 1.7. სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროის განმავლობაში, უნივერსიტეტი და სტუდენტი თავისუფლდებიან ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან, გარდა სტატუსის შეჩერებამდე წარმოქმნილი უფლებებისა და მოვალეობებისა.

მუხლი 2. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

- 2.1. სტუდენტის სტატუსის აღდგენისთვის განცხადება მიიღება:
 - (ა) შემოდგომის სემესტრიდან სწავლის გასაგრძელებლად - 20 მაისიდან 15 ივნისამდე

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N 50/20 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2021 წლის 05 მარტის N 08/21 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 13 თებერვლის N 06/23 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 8 მაისის N 14/23 ოქმით

(ბ) გაზაფხულის სემესტრიდან სწავლის გასაგრძელებლად - 30 სექტემბრიდან 24 დეკემბრამდე

2.2. სტუდენტის მიერ სტატუსის აღდგენის ვადის გადაცილებისას, სტატუსის აღდგენის საკითხს განიხილავს რექტორის საბჭო. სტატუსის აღდგენის მოთხოვნის დაკმაყოფილებისას რექტორის საბჭო განსაზღვრავს სტატუსის აღდგენის პირობებს.

2.3. სტუდენტის სტატუსის აღდგენის წინაპირობაა:

(ა) სტუდენტის მიერ უნივერსიტეტის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, თუ სტატუსის შეჩერების საფუძველი ამ ვალდებულებათა შეუსრულებლობა იყო

(ბ) სტატუსის შეჩერების სხვა მიზეზის აღმოფხვრა

2.4. სტუდენტს სტატუსი არ აღუდგება, თუ არსებობს ამ დებულებით გათვალისწინებული სტატუსის შეწყვეტის საფუძველი. განსაკუთრებულ შემთხვევებს განიხილავს რექტორის საბჭო.

მუხლი 3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

3.1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

(ა) სტუდენტის სტატუსის 5 წელზე მეტი ხნით შეჩერება

(ბ) სწავლის შედეგების მიუღწევლობა (თავი VI, მუხლი 10, პუნქტი 10.6-ის შესაბამისად)

(გ) შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება

(დ) პირადი განცხადება

(ე) დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილება

(ვ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის წესით გადასვლა

თავი V. სასწავლო პროცესი

მუხლი 1. სასწავლო პროცესის მიმდინარეობა

1.1. სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად (სემესტრების დაწყების და დამთავრების თარიღები განისაზღვრება აკადემიური კალენდრით, რაც მზადდება სპას-ის მიერ და მტკიცდება რექტორის საბჭოზე)

1.2. რექტორის საბჭოს გადაწყვეტილებით აკადემიური წელი შეიძლება დაიგეგმოს ტრიმესტრული ან კვატრომესტრული პრინციპით

1.3. სემესტრი იყოფა სასწავლო კვირებად და თითოეული კვირისთვის განსაზღვრულია სასწავლო კომპონენტებით გათვალისწინებული სტუდენტთან საკონტაქტო საათები

1.4. სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული საკონტაქტო დრო დაყოფილია აკადემიურ საათებად. 1 აკადემიური საათის ხანგრძლიობაა 60 წუთი. აკადემიურ საათებს შორის განსაზღვრულია 10-წუთიანი შესვენება.

1.5. სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე უნივერსიტეტში მოქმედებს მექანიზმი, რომლის საფუძველზე ხორციელდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის შესახებ სტუდენტის განცხადება განიხილება სკოლის საბჭოზე (დსპ-ის შემთხვევაში პგს-ზე). შესაბამისი დეპარტამენტი/დსპ-ის ადმინისტრაცია ინდივიდუალური მიდგომის პრინციპით, განსაზღვრავს სტუდენტისთვის სასწავლო გეგმას, საათობრივ დატვირთვას და სწავლების მეთოდებს

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N 50/20 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2021 წლის 05 მარტის N 08/21 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 13 თებერვლის N 06/23 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 8 მაისის N 14/23 ოქმით

- 1.6. სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს:
 - (ა) მარიამობას - 28 აგვისტოს
 - (ბ) გიორგობას - 23 ნოემბერს
 - (გ) დამოუკიდებლობის დღეს - 26 მაისს
 - (დ)ქრისტეშობის და საახალწლო არდადეგებზე - 24 დეკემბრიდან 7 იანვრის ჩათვლით
 - (ე) აღდგომის კვირას - აღდგომის წინა ოთხშაბათიდან მომდევნო კვირის სამშაბათის ჩათვლით
- 1.7. სტუდენტთა სტანდარტული რაოდენობა ჯგუფში განისაზღვრება 25 სტუდენტით, გამონაკლისის სახით დასაშვებია რაოდენობის გაზრდაც; ლაბორატორიულ მეცადინეობებზე განისაზღვრება არაუმეტეს 15 სტუდენტით, ხოლო კლინიკურ კომპონენტებზე - არაუმეტეს 12 სტუდენტით.
- 1.8. ჯგუფში 15-ზე ნაკლები სტუდენტის დარეგისტრირების შემთხვევაში, უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას არ გახსნას ჯგუფი (არ ეხება უცხო ენებს, ლაბორატორიულ მეცადინეობებს და კლინიკურ კომპონენტებს).
- 1.9. უნივერსიტეტი ვალდებულია გახსნას ჯგუფი მასზე ნებისმიერი რაოდენობის სტუდენტის რეგისტრაციის შემთხვევაში თუ კომპონენტზე რეგისტრირებული სტუდენტებიდან ერთი მაინც პროგრამაზე ჩარიცხვიდან და სწავლის დაწყებიდან მოყოლებული უკანასკნელი სემესტრის ჩათვლით არ ჩაჭრილა არცერთ კომპონენტში
- 1.10. ცალკეულ შემთხვევებში ჯგუფის გახსნის მიზანშეწონილობის განსაზღვრა წარმოადგენს სკოლის დირექტორის / დეპარტამენტის უფროსის / დსკ-ის ადმინისტრაციული დეკანის დისკრეციას

თავი VI. შეფასების ფორმების ადმინისტრირება

მუხლი 1. შუალედური შეფასების და დასკვნითი/დამატებითი გამოცდის ადმინისტრირება

- 1.1. შუალედური შეფასების ადმინისტრირებას ახორციელებს შესაბამისი სკოლა/დეპარტამენტი/დსკ-ის ადმინისტრაცია.
- 1.2. დასკვნითი/დამატებითი გამოცდის ადმინისტრირებას ახორციელებს სპას; დასკვნითი/დამატებითი გამოცდის ცალკეული კომპონენტების ადმინისტრირება შესაძლოა განხორციელდეს შესაბამისი სკოლის/დეპარტამენტის/დსკ-ის ადმინისტრაციის მიერ.
- 1.3. დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე, სტუდენტს ეცნობება გამოცდის თარიღი, დრო, აუდიტორია და მისთვის განკუთვნილი ადგილი.
- 1.4. ზეპირი კომპონენტის არსებობის შემთხვევაში, დასკვნით/დამატებით გამოცდას ატარებს კომისია შესაბამისი საგნის კურატორის ან პროგრამის ხელმძღვანელის თავმჯდომარეობით. კომისია შედგება მინიმუმ სამი წევრისგან.
- 1.5. შუალედურ შეფასებას ეთმობა არაუმეტეს 2 ასტრონომიული საათისა, ხოლო დასკვნით/დამატებით გამოცდას - არანაკლებ 2 ასტრონომიული საათი. დისტანციური გამოცდის შემთხვევაში, ასევე პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია განსხვავებული რეგულაციის არსებობა, რომელიც გაწერილია შესაბამისი პროგრამით (კომპონენტის სილაბუსით).
- 1.6. დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მიმდინარეობაზე დაკვირვების მიზნით გამოცდაზე დასწრების უფლება აქვს სკოლის/დეპარტამენტის/დსკ-ის ადმინისტრაციის/სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელს; რექტორის ნებართვით, ასევე, სხვა დაინტერესებულ პირს. გამოცდაზე დამსწრე

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N 50/20 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2021 წლის 05 მარტის N 08/21 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 13 თებერვლის N 06/23 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 8 მაისის N 14/23 ოქმით

პირთა ვინაობა, დასწრების დრო თანხმდება სპას-თან გამოცდამდე არანაკლებ 1 დღით ადრე.

მუხლი 2. გამოცდაზე დაშვების პირობები

- 2.1. სტუდენტის გამოცდაზე დაშვების პირობაა მითითებულ საგამოცდო დროს უნივერსიტეტში გამოცხადება, საიდენტიფიკაციო ბარათის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარმოდგენა და მისთვის განკუთვნილი ადგილის დაკავება. დისტანციური გამოცდის შემთხვევაში მითითებულ დროს ონლაინ ვიდეო ჩართვის განხორციელება და გამომცდელისთვის საიდენტიფიკაციო ბარათის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარმოდგენა.
- 2.2. დასკვნით გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

მუხლი 3. გამოცდაზე ქცევის წესები

- 3.1. საგამოცდო პროცესის მიმდინარეობისას არ არის ნებადართული:
 - (ა) საგამოცდო ნაშრომში სახელის, გვარის ან რაიმე სახის მინიშნება სტუდენტის პიროვნების ამოსაცნობად
 - (ბ) საგამოცდო საკითხების გაცნობა საგამოცდო დროის დაწყებამდე
 - (გ) საგამოცდო აუდიტორიაში საუბარი ან სხვა სახის მინიშნება
 - (დ) ნებისმიერი დამხმარე საშუალების გამოყენება
 - (ე) საგამოცდო ნაშრომის ჩაბარებამდე საგამოცდო აუდიტორიის დატოვება
 - (ვ) ჩართული სმართფონის და სხვა ელექტრონული მოწყობილობის ქონა (გარდა კალკულატორისა)
 - (ზ) კომპიუტერული გამოცდის შემთხვევაში “UG სისტემის” გარდა სხვა პროგრამის ან ინტერნეტის გამოყენება (ამ მუხლის 3.4. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა).
- 3.2. ამ მუხლის 3.1. პუნქტით განსაზღვრული ქმედებისას სტუდენტი იხსნება გამოცდიდან და ფორმდება ოქმი. ნაშრომი ფასდება 0 ქულით. სტუდენტი კარგავს შუალედური გამოცდის აღდგენის/დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას.
- 3.3. შეკითხვის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა აიწიოს ხელი და დამკვირვებლის მისვლის შემდგომ დასვას შეკითხვა.
- 3.4. გამოცდის მიმდინარეობისას ნებადართულია წყლისა და მედიკამენტების, ასევე სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის მიერ გამოცდის საჭიროებებიდან გამომდინარე დაშვებული სხვა ნივთებისა თუ სასწავლო მასალის გამოყენება.
- 3.5. სტუდენტისმიერ დამხმარე მასალის (სახელმძღვანელო, კოდექსი, კომპიუტერული პროგრამა და ა.შ.) გამოყენების, ასევე ინტერნეტთან წვდომის შესაძლებლობა, წინასწარ ეცნობება სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს შესაბამისი კურსის კურატორის მიერ.

მუხლი 4. შუალედური შეფასების და დასკვნითი/დამატებითი გამოცდის საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევები

- 4.1. წინამდებარე დებულებით დადგენილ ვადებში შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენისას, საპატიო მიზეზად შესაძლოა ჩაითვალოს:

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N 50/20 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2021 წლის 05 მარტის N 08/21 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 13 თებერვლის N 06/23 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 8 მაისის N 14/23 ოქმით

- (ა) ჯანმრთელობის მდგომარეობა
- (ბ) ახლობლის გარდაცვალება
- (გ) სახელმწიფო სამსახურში გამოცხადების აუცილებლობა
- (დ) საკუთარი ან ოჯახის წევრის ქორწილი
- (ე) შვილის შექმნა
- (ვ) ეროვნულ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობა
- (ზ) სამსახურებრივი მივლინება
- (თ) სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა
- (ი) სხვა ობიექტური გარემოება, რასაც ადმინისტრაცია მიიჩნევს საპატიოდ.

მუხლი 4¹. შუალედური შეფასების აღდგენა

- 4.1. სტუდენტი უფლებამოსილია, საპატიო მიზეზით შუალედური შეფასების გაცდენის შემთხვევაში, ცალკეულ სასწავლო კომპონენტში აღადგინოს 1 შუალედური შეფასების ფორმა.
- 4.2. სტუდენტს უფლება აქვს, „ჩემი UG“-ის მეშვეობით „შუალედური შეფასების აღდგენის“ შესახებ შაბლონზე, განცხადება დაწეროს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის სახელზე არაუგვიანეს მე-13 კვირისა. განცხადებაში სტუდენტმა უნდა მიუთითოს კონკრეტულად რომელი შუალედური შეფასების ფორმის აღდგენას ითხოვს და თან დაურთოს საპატიო მიზეზით გაცდენის დამადასტურებელი ცნობა.
- 4.3. შუალედური შეფასების გაცდენისას, შესაბამისი სამსახურის მიერ საპატიო მიზეზის დადასტურების შემთხვევაში, სტუდენტს შუალედური შეფასების აღდგენა დაენიშნება მე-14 კვირას.
- 4.4. მობილობით გადმოსულ და გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებს, რომლებიც დაგვიანებით შეურთდნენ სასწავლო პროცესს, ალუდგებათ 3 კვირის შუალედური შეფასება, რომელიც ჩატარდა სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართვამდე.

მუხლი 4². დამატებით გამოცდაზე დაშვების წინაპირობები

- 4.1. დამატებით გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი თუ ის აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს:
 - ა) შესაბამის კომპონენტში შეფასებათა ერთობლიობით უგროვდება არანაკლებ 41 ქულა;
 - ბ) საპატიო მიზეზით (თავი VI, მუხლი 4, პუნქტი 4.1.) გააცდინა დასკვნითი გამოცდა და წინამდებარე მუხლის 4.2. პუნქტით დადგენილ ვადებში წარმოადგინა შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
 - გ) არასაპატიო მიზეზით გააცდინა დასკვნითი გამოცდა და წარმოადგინა დამატებითი გამოცდის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. დამატებითი გამოცდის საფასურის ოდენობა დგინდება საფინანსო-სამეურნეო დარგში პრორექტორის განკარგულებით.
- 4.2. „ჩემი UG“-ის მეშვეობით განცხადების წარდგენის ვადები და ადრესატები თავი VI, მუხლი 4, პუნქტი 4.1.-ით გათვალისწინებული საპატიო მიზეზების არსებობისას განისაზღვრება შემდეგი სახით:
 - (ა) ქვეპუნქტის შემთხვევაში - დამატებითი გამოცდის დღიდან არაუგვიანეს მე-2 დღეს სამედიცინო და სადაზღვევო სამსახურის სახელზე;
 - (ბ), (გ), (ე) ქვეპუნქტების შემთხვევაში - დამატებითი გამოცდის დღიდან არაუგვიანეს მე-2 დღეს სპას-ის სახელზე;
 - (დ), (ვ), (ზ), (თ), (ი) ქვეპუნქტების შემთხვევაში - დამატებითი გამოცდის დღემდე 2 დღით ადრე სპას-ის

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N 50/20 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2021 წლის 05 მარტის N 08/21 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 13 თებერვლის N 06/23 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 8 მაისის N 14/23 ოქმით
სახელზე

4.3. დამატებითი გამოცდა ტარდება ერთხელ, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან არანაკლებ 5 დღეში; გამოცდის შედეგების გამოქვეყნების დღე ითვლება პირველ დღედ. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.

მუხლი 5. ამოღებულია

მუხლი 6. გამოცდის მიმდინარეობის გასაჩივრება

- 6.1. შუალედური/დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მიმდინარეობით უკმაყოფილების შემთხვევაში სტუდენტი უფლებამოსილია გამოცდის ჩატარების დღეს „ჩემი UG“-ის მეშვეობით მიმართოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში პრორექტორს.
- 6.2. პრორექტორი განიხილავს სტუდენტის საჩივარს. სტუდენტის საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გამოცდების აღდგენის კვირაში დაინიშნება ხელახალი გამოცდა და წინა გამოცდის შედეგები ანულირდება.

მუხლი 7. გამოცდის შედეგების ასახვა

- 7.1. კომპონენტში სტუდენტის შეფასებისას საბოლოო ქულა მრგვალდება მთელ რიცხვამდე. ხუთი მეათედი ან ხუთი მეასედი მრგვალდება მეტობით.
- 7.2. ცოდნის შემოწმების შედეგები მონაცემთა ბაზაში აისახება 7 კალენდარული დღის ვადაში.
- 7.3. სტუდენტის პრეტენზია შეფასების არარსებობაზე მიიღება შედეგების ასახვის ვადის გასვლიდან 7 კალენდარული დღის ვადაში.
- 7.4. სტუდენტი შეფასებისას ინდივიდუალურად იღებს ინფორმაციას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებების და შედეგის გაუმჯობესების გზების შესახებ.

მუხლი 8. შეფასების გასაჩივრება

- 8.1. სტუდენტი უფლებამოსილია გაეცნოს წერით ნაშრომს და გაასაჩივროს შუალედურ შეფასებაში მიღებული შედეგი, შეფასების „UG სისტემაში“ ასახვიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში (შედეგის ასახვის დღე ითვლება პირველ დღედ).
- 8.2. სტუდენტი „ჩემი UG“-ის მეშვეობით ნაშრომის მიღების მიზნით და გასაჩივრებისას განცხადებით მიმართავს საკუთარი პროგრამის ხელმძღვანელს. შუალედური შეფასების გასაჩივრების დასაშვებობაზე გადაწყვეტილებას იღებს პროგრამის ხელმძღვანელი, ის უფლებამოსილია ასევე მოითხოვოს ზეპირი/დისტანციური გამოცდის ვიდეო/აუდიო ჩანაწერი.
- 8.3. დასკვნითი/დამატებითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს მეორე დღისა სტუდენტი უფლებამოსილია „ჩემი UG“-ის მეშვეობით განცხადებით მიმართოს საკუთარი პროგრამის ხელმძღვანელს და გაასაჩივროს გამოცდის შედეგი. გასაჩივრების დასაშვებობაზე გადაწყვეტილებას იღებს პროგრამის ხელმძღვანელი, ის უფლებამოსილია ასევე მოითხოვოს ზეპირი/დისტანციური გამოცდის ვიდეო/აუდიო ჩანაწერი.

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N 50/20 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2021 წლის 05 მარტის N 08/21 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 13 თებერვლის N 06/23 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 8 მაისის N 14/23 ოქმით

8.4. სტუდენტმა განცხადებაში უნდა მიუთითოს თუ რომელ საკითხს ან შეფასების რა ნაწილს აპროტესტებს. ზოგადი საჩივარი არ განიხილება.

8.5. სტუდენტის განაცხადის საფუძველზე, პროგრამის ხელმძღვანელი არაუმეტეს 2 კალენდარული დღის განმავლობაში, კომპოტენციის ცენტრისადმი აყენებს მოთხოვნას გასაჩივრების კომისიის შექმნის შესახებ.

8.6. კომპეტენციის ცენტრი, პროგრამის ხელმძღვანელის მიმართვის საფუძველზე, უზრუნველყოფს შესაბამისი გასაჩივრების კომისიის შედგენას, გასაჩივრებული ნაშრომის განხილვას და შედეგების სპას-თვის და პროგრამის ხელმძღვანელისათვის მიწოდებას, მიმართვიდან არაუმეტეს 5 კალენდარული დღის განმავლობაში.

8.7. სპას გასაჩივრების კომისიის შედეგებს ასახავს „UG სისტემაში“ არაუმეტეს 1 კალენდარული დღის განმავლობაში.

8.8. გასაჩივრების კომისიის აუცილებელი წევრია: შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, კომპონენტის კურატორი (მისი არ ყოფნის შემთხვევაში იმავე კომპონენტის განმახორციელებელი სხვა პროფესორი). კომისიის სხვა წევრებს წარმოადგენენ ამავე კომპონენტის განმახორციელებელი სხვა პროფესორი, კომპონენტის მიმწოდებელი კომპეტენციის ცენტრის პროფესორი.

8.9. გასაჩივრების კომისიის სხდომა ოქმდება. სხდომის თავმჯდომარეა იმ პროგრამის ხელმძღვანელი, რომლის სტუდენტის მიერაც მოხდა შეფასების ფორმის გასაჩივრება (კომისიის სხდომაზე დეპარტამენტის უფროსის ან სკოლის დირექტორის დასწრების შემთხვევაში - იერარქიის შესაბამისად). თუ გასაჩივრდა სხვა დეპარტამენტის პროგრამის კომპონენტის შეფასების ფორმა, სხდომას უძღვება კომპეტენციის მიმწოდებელი დეპარტამენტის უფროსი (სკოლის დირექტორის მონაწილეობის შემთხვევაში - სკოლის დირექტორი). სხდომის მდივანია დეპარტამენტის/სკოლის მენეჯერი (დსპ-ის შემთხვევაში - დსპ-ის მენეჯერი).

მუხლი 9. საუნივერსიტეტო შეფასება

9.1. უნივერსიტეტში მოქმედებს 100 ქულიანი შეფასების სისტემა.

9.2. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი დაძლეულია 51 ქულის (51%) მიღების შემთხვევაში.

9.3. დასკვნითი/დამატებითი გამოცდა 40-ქულიანია. დასკვნითი/დამატებითი გამოცდის ჩასაბარებლად აუცილებელია საგამოცდო კომპონენტების (ზეპირი, პრაქტიკული და ა.შ.) სილაბუსით გათვალისწინებული მინიმუმების დაკმაყოფილება და ჯამში არანაკლებ 20 ქულის (50%-ის) მიღება.

9.4. დასკვნითი გამოცდის გაცდენის შემთხვევაში, დასკვნითი გამოცდა ფასდება 0 ქულით.

მუხლი 10. შედეგების საშუალო

10.1. შედეგების საშუალო ქულა დგინდება შემდეგნაირად:

შესაბამის პერიოდში არჩეულ ყოველ სასწავლო კომპონენტში (საგანი, ლაბორატორია, ნაშრომი,...) მიღებული ქულისა და კრედიტის ნამრავლების ჯამი იყოფა ამავე კომპონენტების კრედიტების ჯამზე. თითოეული კომპონენტი იანგარიშება შესაბამის პერიოდში (წლიურად, სემესტრულად) ერთხელ, მაქსიმალური შეფასებით.

შედეგების საშუალოს გამოსათვლელი ფორმულა:

$$\text{შედეგების საშუალო} = (\sum K_n * Q_n) / \sum K_n$$

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N 50/20 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2021 წლის 05 მარტის N 08/21 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 13 თებერვლის N 06/23 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 8 მაისის N 14/23 ოქმით

- სადაც K_n არის კომპონენტის კრედიტი, Q_n - მიღებული ქულა, n - არჩეული კომპონენტების რაოდენობა
- თითოეული კომპონენტში მიღებული Q_n ქულა ფორმულაში მონაწილეობს ერთხელ, შესაბამის პერიოდში (წლიურად, სემესტრულად) მიღებული მაქსიმალური შეფასებით

10.2. შედეგების საშუალო ქულა გამოითვლება ყოველი სასწავლო წლის ბოლოს

10.3. სწავლის შედეგები მიღწეულია თუ:

- (ა) სტუდენტმა დაძლია ყველა კომპონენტი
- (ბ) სტუდენტის შედეგების საშუალო არანაკლებ 51-ია

10.4. თუ შედეგების საშუალო 51-ზე ნაკლებია, (ვისთვისაც უკანასკნელი აკადემიური წლის ჩათვლით გავლილი/ჩათვლილი კომპონენტების კრედიტების ჯამი აღემატება 60-ს) სტუდენტი ექცევა „განსაკუთრებულ რეჟიმში“ და ეძლევა დამატებითი 1 (ერთი) წელი შედეგების საშუალოს გასაუმჯობესებლად

10.5. „განსაკუთრებულ რეჟიმში“ მყოფი სტუდენტებისთვის ჯგუფების არჩევისას ხდება თავისუფლების გარკვეული შეზღუდვა და ჯგუფების დაკომპლექტება და სასწავლო პროცესის ადმინისტრირება ხორციელდება ადმინისტრაციის მხრიდან მეტი ზედამხედველობით.

10.6. გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ, შედეგების საშუალო ითვლება გავლილი კომპონენტების შესაბამისად, ხოლო სწავლის შედეგები მიუღწეველია, თუ შედეგების საშუალო 51-ზე ნაკლებია.

მუხლი 11. შედეგების საშუალოს კოეფიციენტი (GPA) (წლიური, სემესტრული)

11.1. შედეგების საშუალოს კოეფიციენტი დგინდება შემდეგნაირად:

11.2. 51-ზე ნაკლები საშუალო ქულის მქონე სტუდენტის (GPA) 0-ის ტოლია. სტუდენტთა მიერ დაგროვებული (51-ზე მეტი) ქულებით დგება რანჟირებული სია (დალაგებული კლებადობით). თითოეული ქულა ხვდება გარკვეულ პროცენტულ შუალედში. რანჟირებული სიის თავში მოქცეული 4 % ცხრილში მოცემული პირველი გრაფის (97-100 (%)) რანგის შესატყვისი იქნება, შემდეგი 3%- 94-96 (%) რანგის, და ა.შ. სტუდენტს ამ განაწილების მიხედვით ენიჭება (წლიური, სემესტრული) შედეგების საშუალოს კოეფიციენტი (GPA).

11.3. (შენიშვნა: 51-ზე მეტი საშუალო ქულის მქონე სტუდენტთაგან უდიდესი ქულის მქონე მოხვდება 97-100 პროცენტულ რანგში და მას ცხრილის მიხედვით მიენიჭება საუნივერსიტეტო შეფასება A+, ხოლო მისი GPA იქნება 4,00-ის ტოლი

11.4. 51-ზე მეტი საშუალო ქულის მქონე სტუდენტთაგან უმცირესი ქულის მქონე მოხვდება 51-60 პროცენტულ რანგში და მას ცხრილის მიხედვით მიენიჭება საუნივერსიტეტო შეფასება E, ხოლო მისი GPA იქნება 1,00-ის ტოლი)

პროცენტული რანგი	საუნივერსიტეტო შეფასება	შედეგების საშუალოს კოეფიციენტი (GPA)
97-100	A+	4,00
94-96	A	3,75
91-93	A-	3,50

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N 50/20 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2021 წლის 05 მარტის N 08/21 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 13 თებერვლის N 06/23 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 8 მაისის N 14/23 ოქმით

87-90	B+	3,25
84-86	B	3,00
81-83	B-	2,75
77-80	C+	2,50
74-76	C	2,25
71-73	C-	2,00
67-70	D+	1,75
64-66	D	1,50
61-63	D-	1,25
51-60	E	1,00

11.5. შედეგების საშუალოს კოეფიციენტი (GPA) გამოითვლება ყოველი წლის ბოლოს

11.6. თუ შედეგების საშუალოს კოეფიციენტი (GPA) არანაკლებ 3,75-ია (A და A+) სტუდენტს ეძლევა სტიპენდია. სტიპენდიის მიღების წინაპირობაა წლიური 60 კრედიტის დაგროვება და სტუდენტის სტატუსის შენარჩუნება საქართველოს უნივერსიტეტში; სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტიპენდია გაცივმა სტატუსის აღდგენის შემდეგ; ხოლო დამამთავრებელი სემესტრის მქონე სტუდენტებს, სტიპენდია ეძლევათ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების გამო სტატუსის შეწყვეტის შემდეგ

11.7. სტიპენდიის ოდენობას და გაცემის დამატებით წესებს განსაზღვრავს/ცვლის პრორექტორი საფინანსო-სამეურნეო დარგში.

მუხლი 12. შეფასების თავსებადობა

12.1. საუნივერსიტეტო შეფასების თავსებადობა შედეგების საშუალოს კოეფიციენტსა და საქართველოში მოქმედ ზოგად შეფასებასთან გამოისახება შემდეგი სახით:

შედეგების საშუალო	შედეგების საშუალოს კოეფიციენტი (GPA)	საუნივერსიტეტო შეფასება	საქართველოში მოქმედი ზოგადი შეფასება	
ხუთი სახის დადებითი შეფასება				
97-100	4,00	A+	A	ფრიადი
94-96	3,75	A		
91-93	3,50	A-		
87-90	3,25	B+	B	ძალიან კარგი
84-86	3,00	B		
81-83	2,75	B-		
77-80	2,50	C+	C	კარგი
74-76	2,25	C		
71-73	2,00	C-		

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N 50/20 ოქმით
 ცვლილება რექტორის საბჭოს 2021 წლის 05 მარტის N 08/21 ოქმით
 ცვლილება რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით
 ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 13 თებერვლის N 06/23 ოქმით
 ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 8 მაისის N 14/23 ოქმით

67-70	1,75	D+	D	დამაკმაყოფილებელი
64-66	1,50	D		
61-63	1,25	D-		
51-60	1,00	E	E	საკმარისი
ორი სახის უარყოფითი შეფასება				
41-50		FX	F X	ვერ ჩააბარა (რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)
≤40		F	F	ჩაიჭრა (რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი)

"12¹ . შეფასების გაუმჯობესება

12.1. პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტში, შეფასების გაუმჯობესების მიზნით, სტუდენტი უფლებამოსილია განმეორებით დარეგისტრირდეს იმავე კომპონენტზე და გადაიხადოს შესაბამისი კრედიტ(ებ)ის ღირებულება.

12.2. სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებულ ერთი და იმავე კომპონენტზე ერთხელ, განმეორებით ან რამოდენიმეჯერ დარეგისტრირების შემთხვევაში, მისი საბოლოო შეფასება განისაზღვრება მოცემულ კომპონენტში ნაჩვენები საუკეთესო შედეგით.

12.3. სტუდენტის სასწავლო ბარათში, წინამდებარე მუხლის 12.1.-12.2. პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევის არსებობისას, შეიტანება ინფორმაცია მოცემულ კომპონენტში საუკეთესო შედეგის მიხედვით.

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N 50/20 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2021 წლის 05 მარტის N 08/21 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 13 თებერვლის N 06/23 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 8 მაისის N 14/23 ოქმით

თავი VII. საბაკალავრო ნაშრომის დაცვა და შეფასება

მუხლი 1. საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი

- 1.1. საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი წარმოადგენს საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტს, რომლის განხორციელებაც დასტურდება საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შესრულებით და მისი დაცვით (პრეზენტაცია, დისკუსია).
- 1.2. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის მიზანია სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის სისტემატიზაცია - დარგობრივი ცოდნის, კვლევითი, შემოქმედებითი თუ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოვლენა.
- 1.3. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შესრულების მიმართ მოქმედებს წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესები, თუ ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის/სკოლისთვის განსხვავებული წესი არ არის დადგენილი.
- 1.4. საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი წარმოადგენს სტუდენტ(ებ)ის მიერ ინდივიდუალურად ან ჯგუფურად შესრულებულ სამუშაოს; ჯგუფურად შესრულების შემთხვევაში, მიმოხილვაში უნდა გამოიკვეთოს და მიეთითოს თითოეული მონაწილის წვლილი.
- 1.5. საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი უნდა შესრულდეს საბაკალავრო პროგრამის სწავლების ენაზე.

მუხლი 2. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შესრულების ეტაპები

- 2.1. ბაკალავრის მიერ საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შესრულება და მისი დაცვა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
 - 2.1.1. საბაკალავრო ნაშრომზე/პროექტზე აკადემიური რეგისტრაცია
 - 2.1.2. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის სათაურის წარდგენა
 - 2.1.3. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის კონცეფციის წარდგენა და დაცვა
 - 2.1.4. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის წინასწარი განაცხადის წარდგენა და დაცვა
 - 2.1.5. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის წარდგენა და დაცვა
- 2.2. ბაკალავრი, რომელიც აკადემიური რეგისტრაციისთვის განსაზღვრულ პერიოდში არ დარეგისტრირდება საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის კომპონენტზე, კარგავს მოცემულ სემესტრში აღნიშნული კომპონენტის შესრულების შესაძლებლობას.
- 2.3. ამ მუხლის 2.1 პუნქტის 2.1.2 – 2.1.5 ქვეპუნქტების შესრულება უნდა განხორციელდეს საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით დადგენილი ვადების შესაბამისად.
- 2.4. ბაკალავრი, რომელიც არ შეასრულებს ამ მუხლის 2.1. პუნქტის 2.1.2 – 2.1.5 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ეტაპებს საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით დადგენილი ვადების დაცვით, კარგავს მოცემულ სემესტრში კომპონენტის შესრულების შესაძლებლობას.

მუხლი 3. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის კომპონენტზე რეგისტრაცია

- 3.1. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შესრულების უფლება აქვს ბაკალავრს დამამთავრებელ სემესტრში და ის უნდა აკმაყოფილებდეს საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრულ სხვა წინაპირობებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
- 3.2. სკოლის საბჭო უფლებამოსილია აკადემიური რეგისტრაციის დაწყებამდე დაამტკიცოს საბაკალავრო

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N 50/20 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2021 წლის 05 მარტის N 08/21 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 13 თებერვლის N 06/23 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 8 მაისის N 14/23 ოქმით
ნაშრომის/პროექტის თემატიკის ჩამონათვალი.

3.3. იმ შემთხვევაში თუ სკოლის საბჭო, ამ მუხლის 3.2 პუნქტის შესაბამისად, აკადემიური რეგისტრაციის დაწყებამდე დაამტკიცებს საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის თემატიკის ჩამონათვალს, ბაკალავრი უფლებამოსილია აღნიშნული ჩამონათვალიდან აირჩიოს თემა.

3.4. ამ მუხლის 3.2 პუნქტით გათვალისწინებული საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის თემატიკის ჩამონათვალის დამტკიცება არ ზღუდავს ბაკალავრის უფლებას საბაკალავრო ნაშრომისთვის/პროექტისთვის შეარჩიოს თემა, რომელიც არ არის მოცემული ჩამონათვალში.

3.5. იმ შემთხვევაში თუ სკოლის საბჭო არ ამტკიცებს საკვლევი თემატიკის ჩამონათვალს, ბაკალავრი თავად ირჩევს საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის თემას აკადემიური რესურსის გათვალისწინებით.

3.6. ბაკალავრი ვალდებულია აკადემიური რეგისტრაციის დასრულებამდე საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის თემა აცნობოს სკოლის ასისტენტს.

3.7. დაუშვებელია საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის საკვლევი საკითხის განმეორება საბაკალავრო ნაშრომის დაცვიდან 2 სასწავლო წლის განმავლობაში.

3.8. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის სათაურის დაზუსტება შესაძლებელია საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის წინასწარი განაცხადის ეტაპის ჩათვლით.

მუხლი 4. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს შემადგენლობა

4.1. აკადემიური რეგისტრაციის დასრულების შემდეგ სკოლის საბჭო საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის თემის გათვალისწინებით განსაზღვრავს საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს შემადგენლობას, რომელშიც შედიან საბჭოს თავმჯდომარე, საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ექსპერტი, ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი; ნაშრომის/პროექტის თემის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია შედიოდეს ასევე ნაშრომის/პროექტის თანახელმძღვანელი ან/და შესაბამისი ან/და მომიჯნავე სფეროს წარმომადგენელი აკადემიური/მოწვეული პერსონალიდან ან მეცნიერი მკვლევარი.

4.2. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს თავმჯდომარე, საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ექსპერტი და ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორანტი ან/და დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სათანადო კვლევითი ან/და პრაქტიკული გამოცდილება საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის თემის სფეროში.

4.3. სკოლის საბჭო უფლებამოსილია დამოუკიდებლად ან/და საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს დასაბუთებული წარდგინებით მოიწვიოს თანახელმძღვანელი ან/და შესაბამისი ან/და მომიჯნავე სფეროს წარმომადგენელი აკადემიური/მოწვეული პერსონალიდან ან მეცნიერი მკვლევარი. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის თანახელმძღვანელი ან/და შესაბამისი ან/და მომიჯნავე სფეროს წარმომადგენელი აკადემიური/მოწვეული პერსონალიდან ან მეცნიერი მკვლევარი შეიძლება იყოს დოქტორანტი ან/და დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სათანადო კვლევითი ან/და პრაქტიკული გამოცდილება საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის თემის სფეროში.

4.4. ბაკალავრს უფლება აქვს საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შესრულების ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს სკოლის დირექტორს და მოითხოვოს საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს წევრის აცილება.

4.5. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს წევრს უფლება აქვს საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N 50/20 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2021 წლის 05 მარტის N 08/21 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 13 თებერვლის N 06/23 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 8 მაისის N 14/23 ოქმით

შესრულების ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს სკოლის დირექტორს და მოითხოვოს თვითაცილება.

4.6. ამ მუხლის 4.4. და 4.5 პუნქტებით გათვალისწინებული შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სკოლის საბჭო უზრუნველყოფს საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს წევრის ცვლილებას.

მუხლი 5. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს საქმიანობა

5.1. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭო:

5.1.1. საბჭოს პირველ სხდომაზე ამტკიცებს საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის სათაურს;

5.1.2. ეცნობა საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის კონცეფციას, საბჭოს მეორე სხდომაზე ესწრება კონცეფციის განხილვას და საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად გასცემს რეკომენდაციებს; საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის თავმჯდომარე, საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ექსპერტი და ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ან/და მომიჯნავე სფეროს წარმომადგენელი აკადემიური/მოწვეული პერსონალიდან ან მეცნიერი მკვლევარი აკეთებს შესაბამის შეფასებებს საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

5.1.3. ეცნობა საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის წინასწარ განაცხადს, საბჭოს მესამე სხდომაზე ესწრება წინასწარი განაცხადის განხილვას და საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად გასცემს რეკომენდაციებს; საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის თავმჯდომარე, საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ექსპერტი და ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ან/და მომიჯნავე სფეროს წარმომადგენელი აკადემიური/მოწვეული პერსონალიდან ან მეცნიერი მკვლევარი აკეთებს შესაბამის შეფასებებს საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

5.1.4. ეცნობა საბაკალავრო ნაშრომის/პროექტს, საბჭოს მეოთხე სხდომაზე ესწრება ნაშრომის/პროექტის დაცვას, საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის თავმჯდომარე, საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ექსპერტი და ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ან/და მომიჯნავე სფეროს წარმომადგენელი აკადემიური/მოწვეული პერსონალიდან ან მეცნიერი მკვლევარი აკეთებს შესაბამის შეფასებებს საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

5.2. ამ მუხლის 5.1 პუნქტით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება უნდა განხორციელდეს საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით დადგენილი ვადების შესაბამისად; ვადების დარღვევის შემთხვევაში, ბაკალავრს გაცდენილი ვადა აუნაზღაურდება.

5.3. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს სხდომა ინიშნება საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერის მიერ საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით დადგენილი ვადების შესაბამისად და აღნიშნული წინასწარ ეცნობება ბაკალავრს და საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს წევრებს.

5.4. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს სხდომები იმართება უნივერსიტეტის ტერიტორიაზე; საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს სხდომის დისტანციურად ჩატარების შემთხვევაში, წინასწარ განსაზღვრული პლათფორმის მეშვეობით.

5.5. ბაკალავრი, საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს წევრები და საკვალიფიკაციო ნაშრომების

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N 50/20 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2021 წლის 05 მარტის N 08/21 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 13 თებერვლის N 06/23 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 8 მაისის N 14/23 ოქმით

მენეჯერი ვალდებულია არიან დაესწრონ საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს სხდომებს.

5.6. იმ შემთხვევაში, თუ საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს რომელიმე წევრი ვერ მონაწილეობს საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს სხდომაში უნივერსიტეტს ტერიტორიაზე, უზრუნველყოფილ იქნება მისი დისტანციური ჩართვა იმ პირობით, რომ აღნიშნული ხელს არ შეუშლის სხდომის პროცესში მის სათანადო მონაწილეობას.

5.7. ამ მუხლის 5.1 პუნქტის 5.1.1 – 5.1.3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სხდომებზე საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს წევრის გამოუცხადებლობა, არ წარმოადგენს სხდომის გადადების საფუძველს იმ პირობით, რომ სხდომას ესწრება საბჭოს წევრების უმრავლესობა. გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი ვალდებულია თავისი წერილობითი მოსაზრება, ხოლო საბჭოს დანარჩენი წევრები ვალდებულია არიან თავისი წერილობითი მოსაზრება და შესაბამისი შეფასება სხდომამდე მიაწოდონ საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერს.

5.8. ამ მუხლის 5.1. პუნქტის 5.1.4 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სხდომაზე საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს წევრის გამოუცხადებლობა წარმოადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით გათვალისწინებული ვადით სხდომის გადადების საფუძველს.

5.9. საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერის სხდომაზე დაუსწრებლობა წარმოადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით გათვალისწინებული ვადით სხდომის გადადების საფუძველს.

5.10. ბაკალავრის წინამდებარე დებულების თავი VI, მუხლი 4, პუნქტი 4.2-ით განსაზღვრული საპატიო მიზეზით სხდომაზე დაუსწრებლობა წარმოადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით გათვალისწინებული ვადით სხდომის გადადების საფუძველს.

5.11. საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი უზრუნველყოფს საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს თითოეული სხდომის შეფასების ფორმების შედგენას საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესის შესაბამისად და ათი კალენდარული დღის ვადაში შეფასებული ფორმის ბაკალავრისა და საბჭოს შესაბამისი წევრებისთვის გაცნობას.

მუხლი 6. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი

6.1. ბაკალავრი უფლებამოსილია საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ მიიღოს კონსულტაცია საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელისგან ან/და თანახელმძღვანელისგან.

6.2. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი ვალდებულია, ბაკალავრის მოთხოვნის შესაბამისად, გაუწიოს მას კონსულტაცია წინასწარ შეთანხმებული ფორმით.

6.3. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი ვალდებულია საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით დადგენილი ვადების დაცვით მიაწოდოს ბაკალავრს საბაკალავრო ნაშრომზე/პროექტზე მუშაობის თითოეული ეტაპის შესაბამისი რეკომენდაციები. ბაკალავრი უფლებამოსილია განსაზღვრულ ვადებში გაითვალისწინოს მიღებული რეკომენდაციები.

6.4. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი ვალდებულია საბაკალავრო ნაშრომზე/პროექტზე მუშაობის დაწყებისთანავე დარეგისტრირდეს Turnitin-ის პროგრამაში, უზრუნველყოს ბაკალავრის რეგისტრაცია და მონიტორინგი ნაშრომის/პროექტის შესრულების პროცესის განმავლობაში.

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N 50/20 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2021 წლის 05 მარტის N 08/21 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 13 თებერვლის N 06/23 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 8 მაისის N 14/23 ოქმით

6.5. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის თავი VII, მე-2 მუხლის 2.1.3., 2.1.4. და 2.1.5. ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპების წარმოდგენის შემდეგ ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი ვალდებულია გასცეს წერილობითი დასკვნა საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შეფასების კრიტერიუმებთან შესაბამისობის და პლაგიატის შესახებ, რომელიც ეცნობება საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს. აღნიშნული დასკვნა წარმოადგენს ბაკალავრის საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის მე-2 მუხლის 2.1.3., 2.1.4. და 2.1.5. ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპების დაცვაზე დაშვების წინაპირობას.

6.6. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ ამ მუხლის 6.2 – 6.5 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბაკალავრმა უნდა მიმართოს სკოლის დირექტორს.

6.7. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი უფლებამოსილია საპატიო მიზეზის არსებობისას დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს სკოლის დირექტორს მისი ჩანაცვლების მოთხოვნით.

6.8. ამ მუხლის 6.6 – 6.7 პუნქტებით გათვალისწინებული მიმართვის/შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სკოლის საბჭო უზრუნველყოფს საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ცვლილებას.

მუხლი 7. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის კონცეფცია

7.1. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის კონცეფცია უნდა მოიცავდეს: პრობლემას/საკითხს და ჰიპოთეზას, მისი აქტუალობის აღწერას, ნაშრომის/პროექტის სავარაუდო სტრუქტურას, შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებული სპეციალური ლიტერატურის მოკლე მიმოხილვას, კვლევის სავარაუდო მეთოდებს.

7.2. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის კონცეფცია უნდა აკმაყოფილებდეს მოცულობის მინიმალურ მოთხოვნას, რომელიც გაწერილია თითოეული პროგრამისთვის/სკოლისთვის.

7.3. ბაკალავრი უფლებამოსილია საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის კონცეფციის პრეზენტაცია წარუდგინოს შესაბამისი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

7.4. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის კონცეფციის პრეზენტაციისთვის ბაკალავრს ეძლევა 5-7 წუთი.

7.5. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის თავმჯდომარე, საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ექსპერტი და ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ან/და მომიჯნავე სფეროს წარმომადგენელი აკადემიური/მოწვეული პერსონალიდან ან მეცნიერი მკვლევარი აკეთებს შესაბამის შეფასებებს საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად. კონცეფციის შეფასება ფიქსირდება საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით გათვალისწინებულ ფორმაში და დასტურდება ხელმოწერით.

მუხლი 8. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის წინასწარი განაცხადი

8.1. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის წინასწარი განაცხადი უნდა მოიცავდეს: ნაშრომის/პროექტის სტრუქტურას, პრობლემას/საკითხს და ჰიპოთეზას, მათი აქტუალობის დასაბუთებასა და მათ ფართო მიმოხილვას არსებული შეხედულებებისა და ლიტერატურის ანალიზით, კვლევის მეთოდოლოგიას.

8.2. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის წინასწარი განაცხადი უნდა აკმაყოფილებდეს მოცულობის მინიმალურ მოთხოვნას, რომელიც გაწერილია თითოეული პროგრამისთვის/სკოლისთვის.

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N 50/20 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2021 წლის 05 მარტის N 08/21 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 13 თებერვლის N 06/23 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 8 მაისის N 14/23 ოქმით

8.3. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის წინასწარი განაცხადი შესრულებული უნდა იყოს საუნივერსიტეტო ნაშრომის APA სტილის მოთხოვნათა დაცვით გაფორმების შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად, თუ საბაკალავრო პროგრამის/სკოლის მიერ განსხვავებული აკადემიური გაფორმების სტილი არ არის დადგენილი.

8.4. ბაკალავრი ვალდებულია საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის წინასწარი განაცხადის პრეზენტაცია წარუდგინოს შესაბამისი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

8.5. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის წინასწარი განაცხადის პრეზენტაციისთვის ბაკალავრს ეძლევა 10-12 წუთი.

8.6. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის თავმჯდომარე, საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ექსპერტი და ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ან/და მომიჯნავე სფეროს წარმომადგენელი აკადემიური/მოწვეული პერსონალიდან ან მეცნიერი მკვლევარი აკეთებს შესაბამის შეფასებებს საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად. წინასწარი განაცხადის შეფასება ფიქსირდება საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით გათვალისწინებულ ფორმაში და დასტურდება ხელმოწერით.

მუხლი 9. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვა

9.1. საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი უნდა მოიცავდეს საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით გათვალისწინებულ სავალდებულო კომპონენტებს.

9.2. საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს მოცულობის მინიმალურ მოთხოვნას, რომელიც გაწერილია თითოეული პროგრამისთვის/სკოლისთვის.

9.3. საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი შესრულებული უნდა იყოს საუნივერსიტეტო ნაშრომის APA სტილის მოთხოვნათა დაცვით გაფორმების შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად, თუ საბაკალავრო პროგრამის/სკოლის მიერ განსხვავებული აკადემიური გაფორმების სტილი არ არის დადგენილი; საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი უზრუნველყოფს აკადემიურ სტილთან შესაბამისობის ექსპერტიზას და რეკომენდაციებს აწვდის ბაკალავრს საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით დადგენილი ვადების დაცვით.

9.4. ბაკალავრი ვალდებულია საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის პრეზენტაცია წარუდგინოს შესაბამისი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

9.5. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის პრეზენტაციისთვის ბაკალავრს ეძლევა 15-20 წუთი.

9.6. ბაკალავრი უფლებამოსილია მოითხოვოს საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის აუდიო ჩანაწერის წარმოება, რასაც უზრუნველყოფს საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი. აღნიშნულის თაობაზე ბაკალავრი ვალდებულია საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერს აცნობოს საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვამდე მინიმუმ 2 კალენდარული დღით ადრე.

მუხლი 10. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შეფასება

10.1. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შეფასება ხდება წინამდებარე დებულების თავი VI, მუხლი 12, პუნქტი 12.1-ით განსაზღვრული სისტემის შესაბამისად.

10.2. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შეფასებას ახორციელებს საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის თავმჯდომარე, საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ექსპერტი და ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N 50/20 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2021 წლის 05 მარტის N 08/21 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 13 თებერვლის N 06/23 ოქმით

ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 8 მაისის N 14/23 ოქმით

ან/და მომიჯნავე სფეროს წარმომადგენელი აკადემიური/მოწვეული პერსონალიდან ან მეცნიერი მკვლევარი ინდივიდუალურად საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შეფასება წარმოადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით გათვალისწინებული თითოეული კომპონენტის საშუალო არითმეტიკულ ქულათა ჯამს. საბოლოო შეფასება დგინდება წინამდებარე დებულების თავი VI, მუხლი 7, პუნქტი 7.1-ით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

10.3. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შეფასება ფიქსირდება საკვალიფიკაციო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების და შეფასების წესით გათვალისწინებულ ფორმაში და დასტურდება ხელმოწერით.

10.4. საბაკალავრო ნაშრომის პროექტის შეფასება 40-ქულიანია. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ჩასაბარებლად აუცილებელია არანაკლებ 20 ქულის (50%-ის) მიღება.

მუხლი 11. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის კონცეფციის, წინასწარი განაცხადის, დაცვის შეფასებ(ებ)ის გასაჩივრება

11.1. ბაკალავრს უფლება აქვს საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის კონცეფციის, წინასწარი განაცხადის, დაცვის შეფასებ(ებ)ის გაცნობიდან 5 კალენდარული დღის ვადაში MYUG სისტემის გამოყენებით სკოლის დირექტორის სახელზე წარადგინოს განაცხადი შეფასებ(ებ)ის გასაჩივრების შესახებ.

11.2. ამ მუხლის 11.1 პუნქტით გათვალისწინებულ განაცხადში ბაკალავრმა უნდა გამოკვეთოს და დაასაბუთოს საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის კონცეფციის, წინასწარი განაცხადის, დაცვის შეფასების კომპონენტებთან და კრიტერიუმებთან განხორციელებული შეფასების შეუსაბამობა. დაუსაბუთებელი განაცხადი არ მიიღება.

11.3. სკოლის დირექტორი 5 კალენდარული დღის ვადაში განიხილავს განაცხადს და მისი მიღების შემთხვევაში, ქმნის სააპელაციო კომისიას არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს წევრი. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა შედიოდეს საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დარგში დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ორი პირი. სააპელაციო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის თავჯდომარეს და სხდომის მდივანს.

11.4. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია განცხადების ავტორისგან, საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს წევრებისგან, საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერისგან გამოითხოვოს შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მოიწვიოს აღნიშნული პირები ზეპირ სხდომაზე.

11.5. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო კომისია მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი/გამოთხოვილი დოკუმენტაცია საკმარისია დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად, იგი უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

11.6. გადაწყვეტილების ფარგლებში სააპელაციო კომისია უფლებამოსილია გადახედოს საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის დაცვის საბჭოს შეფასებას ან უარი უთხრას ბაკალავრს განცხადების დაკმაყოფილებაზე.

11.7. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს კონსენსუსის გზით. გადაწყვეტილებას ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.

11.8. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება განცხადების ავტორს ეცნობება განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში.

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 20 ნოემბრის N 50/20 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2021 წლის 05 მარტის N 08/21 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2022 წლის 17 იანვრის N 01/22 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 13 თებერვლის N 06/23 ოქმით
ცვლილება რექტორის საბჭოს 2023 წლის 8 მაისის N 14/23 ოქმით

მუხლი 12. საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შენახვა და გამოყენება

12.1. საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი ვალდებულია საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის ელექტრონული ფორმა ატვირთვას უნივერსიტეტის ელექტრონულ ბაზაში.

12.3. უნივერსიტეტი უფლებამოსილია განათავსოს საბაკალავრო ნაშრომი/პროექტი ბიბლიოთეკაში ან/და ვებ-სივრცეში, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით გამოიყენოს კვლევით საქმიანობაში ავტორთან დამატებითი შეთანხმების გარეშე.

მუხლი 13. კურსდამთავრებულთა ცერემონიალში მონაწილეობა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა

13.1. საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა წარმატებით დაძლია პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი. შესაბამისი სკოლა/დსპ სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის მომართვისა და ფინანსური სამსახურის თანხმობის საფუძველზე სტუდენტს ანიჭებს პროგრამით გათვალისწინებულ კვალიფიკაციას. სტუდენტს ეძლევა შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი; თუ შედეგების საშუალო არანაკლებ 3.5-ია, სტუდენტს გადაეცემა წარჩინების დიპლომი.

13.2. კურსდამთავრებულთა ცერემონიალში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს პირს, რომელმაც წარმატებით დაძლია პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი.

13.3. სტუდენტი, რომელმაც წარმატებით დაძლია პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი, უფლებამოსილია მოითხოვოს მანტია და ქუდი და სურვილის შემთხვევაში, მონაწილეობა მიიღოს კურსდამთავრებულთა ცერემონიალში.